

ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი მსჯელობაა მართებული ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ?

- ა) ფინიკიური ახალშენების დაარსებამ და იქ არსებულმა საქალაქო ცხოვრებამ ადგილობრივ მოსახლეობას სოციალური ორგანიზებისკენ უბიძგა;
- ბ) მომთაბარე ჰიქსოსების მუდმივი თავდასხმების მოგერიებას მოსახლეობის მობილიზება და ლიდერის აქტიურობა სჭირდებოდა;
- გ) სატადრო ქალაქების დაარსების შემდეგ მათ ირგვლივ არსებული სამიწათმოქმედო სავარგულების დამუშავებას ქურუმები უწევდნენ ორგანიზებას;
- დ) მდინარე ნილოსის წყალდიდობისას პერიოდულად დატბორილი ტერიტორიების ათვისება მოსახლეობისგან ორგანიზებულ შრომას მოითხოვდა.

(1) 2. რომელი მსჯელობაა მართებული აქემენიანთა ირანისა და კოლხების ურთიერთობის შესახებ?

- ა) აქემენიანთა ირანმა მთლიანად დაიპყრო კოლხების ქვეყანა და ის უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილა;
- ბ) კოლხების ნაწილი აქემენიანთა ირანს ძღვენს უხდიდა და ამით ფაქტობრივ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა;
- გ) აქემენიანთა ირანმა, მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა, ვერ დაიმორჩილა კოლხები და ისინი რომის გავლენის სფეროში დარჩნენ;
- დ) კოლხებმა და აქემენიანთა ირანმა დადეს სამოკავშირეო ხელშეკრულება პონტოს სამეფოს წინააღმდეგ.

(1) 3. რომელი ისტორიული მოვლენა უკავშირდება ბარბაროსთა ბელადის, ალარიხის სახელს?

ა) იმპერიის დედაქალაქის, რომის აღება;

ბ) აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემა;

გ) კატალაუნის ველზე რომაელთა დამარცხება;

დ) ბრძოლისას რომის იმპერატორის დატყვევება.

(1) 4. რა ღონისძიებას მიმართა გიორგი II-მ „დიდი თურქობის“ აღსაკვეთად?

- ა) ელჩი გააგზავნა კონსტანტინოპოლში დახმარების სათხოვნელად;
- ბ) სასტიკი ბრძოლა გაუმართა სულთნის ჯარს ჯავახეთში;
- გ) ჩავიდა სულთანთან და მორჩილების სანაცვლოდ, ზავი ითხოვა;
- დ) სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა კახეთ-ჰერეთის მეფესთან.

(1) 5. რა იყო II ჯვაროსნული ლაშქრობის მიზანი?

ა) ბალდადის აღება;

ბ) ეგვიპტის დაპყრობა;

გ) ედესის გათავისუფლება;

დ) ანტიოქიის დამორჩილება.

(1) 6. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად?

ა) ყიზილბაშების შემოსევებმა და მტრის მიერ თბილისის დაპყრობამ;

ბ) ქართლისა და ჰერეთის ერისთავების მეფისადმი დაუმორჩილებლობამ;

გ) იმერეთის ერისთავისა და სამცხის მთავრის განდგომამ;

დ) მეფის დალუპვამ თეთრბატონიან თურქმანებთან ბრძოლაში.

(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის შესახებ?

ა) ყაზანისა და ასტრახანის სახანოები დაიპყრო და მთელ ვოლგისპირეთს დაეუფლა;

ბ) დაასრულა მონღოლთა ბატონობა და ისინი საბოლოოდ განდევნა რუსეთიდან;

გ) ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა და იქ ქალაქი სანქტ-პეტერბურგი დააარსა;

დ) ექსპედიცია გააგზავნა შორეულ აღმოსავლეთში და ციმბირი რუსეთს შეუერთა.

(1) 8. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია XVI საუკუნის II ნახევარში ანტვერპენის დაკნინება და მისი უწინდელი სავაჭრო მნიშვნელობის დაკარგვა?

- ა) ესპანელ ჯარისკაცთა მიერ ანტვერპენის აღებამ და ქალაქის სასტიკმა დარბევამ;
- ბ) ინგლისელთა მიერ ანტვერპენის გამარცვამ და ვაჭრების ლონდონში გადასახლებამ;
- გ) ანტვერპენში მომხდარმა ამბოხებამ და მდიდარ მოქალაქეთათვის ქონების ჩამორთმევამ;
- დ) ანტვერპენის ლუთერანთა ხელში გადასვლამ და ქალაქიდან კათოლიკეთა განდევნამ.

(1) 9. რომელი მსჯელობა არ არის მართებული ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ?

- ა) ქართლ-კახეთის სამეფოში არსებობდა რეგულარული ლაშქარი - მორიგე ჯარი, რომელსაც ქვეყნის დაცვა და ლეკიანობის აღკვეთა ევალებოდა;
- ბ) ირანელებმა ალა მაჰმად ხანის მეთაურობით კრწანისის ბრძოლაში ქართველები დაამარცხეს და თბილისი აიღეს;
- გ) გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთმა რუსეთის იმპერიის პროტექტორატი მიიღო, თუმცა შეინარჩუნა საშინაო დამოუკიდებლობა;
- დ) ასპინძის ბრძოლაში გაერთიანებულმა ქართულ-რუსულმა ლაშქარმა გაიმარჯვა და სამცხე ოსმალთა ბატონობისაგან გაათავისუფლა.

(1) 10. ვინ დაიკავა პირველი კონსულის თანამდებობა საფრანგეთში დირექტორის დამხობის შემდეგ?

ა) მაქსიმილიან რობესპიერმა;

ბ) ნაპოლეონ ბონაპარტმა;

გ) ჟორჟ დანტონმა;

დ) შარლ მორის დე ტალეირანმა.

(1) 11. სხვა ფაქტორებთან ერთად, შარლ X-ის რა გადაწყვეტილებამ შეუწყო ხელი 1830 წელს საფრანგეთში რევოლუციის დაწყებას?

- ა) აზიაში ახალი კოლონიური ომის დაწყებამ;
- ბ) გენერალური შტატების არჩევნების გაუქმებამ;
- გ) კონსტიტუციის მიღებაზე ვეტოს დადებამ;
- დ) პრესის თავისუფლების აკრძალვამ.

(1) 12. რომელი მსჯელობაა მართებული გერმანიის გაერთიანების შესახებ?

- ა) დანიასთან, ავსტრიასთან და საფრანგეთთან ომების შემდეგ პრუსიამ შეძლო გერმანული სახელმწიფოების გაერთიანება და შეიქმნა გერმანიის იმპერია;
- ბ) პრუსიის მიერ ავსტრიის, საფრანგეთისა და იტალიის დამარცხებამ შესაძლებელი გახადა გერმანული სახელმწიფოების კონფედერაციის შექმნა;
- გ) გერმანიის გაერთიანებას ყველაზე მეტად საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ინგლისთან დამარცხების შემდეგ ხელის შეშლა აღარ შეეძლო;
- დ) ავსტრიის მარცხმა რუსეთთან ომში საშუალება მისცა პრუსიას, გაერთიანების პროცესს ჩადგომოდა სათავეში და ის წარმატებით დაესრულებინა.

(1) 13. რა მოვლენამ გამოიწვია 1917 წლის მარტში რუსეთში დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება?

ა) დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩაშლამ;

ბ) პირველ მსოფლიო ომში კაპიტულაციამ;

გ) იმპერატორის გადადგომამ;

დ) გლეხთა მასობრივმა აჯანყებებმა.

(1) 14. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში რომელი სახელმწიფოს ერთობლივი ოკუპაცია მოახდინეს სსრკ-მ და ნაცისტურმა გერმანიამ?

ა) პოლონეთის;

ბ) ფინეთის;

გ) რუმინეთის;

დ) ლატვიის.

(1) 15. რომელი მსჯელობაა მართებული „ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის - NATO“-ს შექმნის შესახებ?

- ა) ორგანიზაციის შექმნა განაპირობა კარიბის კრიზისის შემდეგ დაწყებულმა დაპირისპირებამ აშშ-სა და სსრკ-ს შორის და მისი მიზანი იყო კომუნიზმის გავრცელების შეჩერება;
- ბ) ორგანიზაცია შეიქმნა XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს და მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისაგან წევრი სახელმწიფოების დაცვა;
- გ) ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის დროს როგორც, ანტიჰიტლერული კოალიცია და ომის შემდეგ მისი მიზანი გახდა, დემოკრატიული ფასეულობების დაცვა;
- დ) ორგანიზაცია დაფუძნდა XX საუკუნის 50-იან წლებში როგორც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების საპასუხო ნაბიჯი სსრკ-ის მიერ სოციალისტური ქვეყნების სამხედრო ბლოკის შექმნაზე.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სასანურ ირანთან დაკავშირებული მოვლენები.

1. მარცხი ჰერაკლე კეისართან ომში
2. ქართლში მარზპანის დანიშვნა
3. ქალაქ ნისიბინში რომის იმპერიასთან ზავის გაფორმება

17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები მათი ჩამოყალიბების დროის მიხედვით.

1. პარლამენტის შეკრება ინგლისში
2. გენერალური შტატების მოწვევა საფრანგეთში
3. კორტესების ჩამოყალიბება ესპანეთში

18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბრიტანელი პოლიტიკოსები მათ მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავების დროის მიხედვით.


1. ნევილ ჩემბერლენი
2. უინსტონ ჩერჩილი
3. დევიდ ლოიდ ჯორჯი

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ირანის დალაშქრის შემდეგ მონღოლები სუბუდაისა და ჯგებს მეთაურობით კავკასიაში შემოიჭრნენ და საქართველოს განაპირა მხარეების დარბევას შეუდგნენ. მტრის ქვეყნიდან განსადევნად გიორგი IV-მ ლაშქარი შეკრიბა და მონღოლებთან შესაბამელად გაემართა. მტერს ქართველები ქვემო ქართლის მიდამოებში გადააწყდნენ. მეფემ ჯარის ერთი ფლანგი ივანე მხარგრძელს, ხოლო მეორე ვარამ გაგელს ჩააბარა. როდესაც მონღოლებმა ქართველთა მოახლოების შესახებ შეიტყვეს, მათი ნაწილი ჯგებს მეთაურობით მოსახერხებელ ადგილზე ჩასაფრდა. მეორე ნაწილს კი სუბუდაი გაუძღვა და ქართველებს შეება. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ მონღოლები გაიქცნენ. ქართველები დაგებულ ხაფანგს წამოეგნენ და სუბუდაის ჯარს დაედევნენ. დევნისას ქართველთა ერთ-ერთი ფლანგი შორს გაიჭრა, შემთხვევით ჯარის ძირითად ნაწილს ჩამოშორდა და მასთან კავშირი დაკარგა. მაშინ, როდესაც ქართველთა ჯარის ძირითადი ნაწილი ჩასაფრების ადგილს მიუახლოვდა, ჯგებე ჩასაფრებიდან გამოვიდა და ქართველებს შეუტია. ქართული ჯარი დამარცხდა. დღის ბოლოს ცნობამ დამარცხების შესახებ ვარამ გაგელის ფლანგამდეც მიაღწია. დამწუხრებული გაგელი თავის შესაფარებლად გაემურა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **19.1.** რატომ გაიქცნენ მონღოლები ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ?

(1) **19.2.** რა მოიმოქმედეს გაქცეულმა მონღოლებმა ბრძოლაში ჯეზეს ჩართვის შემდეგ?


(1) **19.3.** ვინ სარდლობდა ქართველთა ჯარის მარცხენა ფლანგს?

(1) **19.4.** კონკრეტულად სად შეაფარა თავი ვარამ გაგელმა მას შემდეგ, რაც დამარცხების შესახებ შეიტყო?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:


(2) **20.1.** დაასახელეთ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ერთმანეთს ეუბნებიან: „თვალეხს ვერ ვუჯერებ“ და ახსენით, რატომ ვერ „იჯერებენ“?

(2) **20.2.** რა ეწოდება საერთაშორისო დაპირისპირებას, რომლის დასასრულსაც ასახავს ილუსტრაცია? ილუსტრაციაზე არსებული რომელი კონკრეტული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სწორედ ამ დაპირისპირების დასრულების შემდეგაა შექმნილი ეს ილუსტრაცია.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.


დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



რუკის პირობითი აღნიშვნები

- ქალაქი
- ფრიდრიხ I-ის გადაადგილების მიმართულება
- რიჩარდ I-ის გადაადგილების მიმართულება
- ფილიპ II-ის გადაადგილების მიმართულება
- ინგლისელთა ფლოტის გადაადგილების მიმართულება
- ფრანგთა ფლოტის გადაადგილების მიმართულება
- ✝ ფრიდრიხ I-ის დაღუპვის ადგილი
- 1 ჯვაროსანთა სახელმწიფოები
- 2 კილიკია
- 3 რომის პაპის ოლქი
- 4 ნავარა
- 5 პორტუგალია
- 6 საქართველო



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** რა ეწოდება ისტორიულ მოვლენას, რომელიც ასახულია წარმოდგენილ რუკაზე?

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, რომელ ქალაქთან გაერთიანდა საბოლოოდ აღნიშნული ლაშქრობის მონაწილე ორი ლაშქარი?

(1) **21.4.** რუკის მიხედვით, რა ეწოდება სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული აღნიშნული ლაშქრობა?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით ახსენით, თარიღების გარდა, რა ინფორმაცია მიუთითებს, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული რეკონკისტა?

(2) **21.6.** რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოებიდან დაიწყო აღნიშნული ლაშქრობები?

(2) **21.7.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ პირები, რომლებიც სათავეში ედგნენ აღნიშნულ ისტორიულ მოვლენას.

(2) **21.8.** რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოში დასრულდა ბიზანტიის იმპერიაზე გამავალი ლაშქრობა დროზე ადრე და რუკაზე აღნიშნულმა რა ფაქტმა გამოიწვია ეს?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22.

1598 წელს საფრანგეთის მეფემ ანრი IV-მ ნანტის ედიქტი მიიღო. 1685 წელს კი ლუი XIV-მ ნანტის ედიქტის გაუქმება გადაწყვიტა. მეფის მრჩეველთა ნაწილი მის პოზიციას მხარს უჭერდა, ხოლო მეორე ნაწილი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის გადაწყვეტილების მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

დავალება 23.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში ქართული საზოგადოების აზრი ორად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი მხარს უჭერდა შეთქმულების მოწყობასა და აჯანყების დაწყებას, მეორე ნაწილი კი ამას ეწინააღმდეგებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც შეთქმულების მოწყობისა და აჯანყების დაწყების მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც შეთქმულების მოწყობისა და აჯანყების დაწყების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24.

1938 წელს ევროპაში მიუნხენის გარიგების სახელით ცნობილი შეთანხმება დაიდო.

კითხვები:

(1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

(1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა ევროპისთვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



ნაწყვეტი ნოე ჟორდანას ადიუტანტის მოგონებიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ჩემი თანხლებით ყოველ დღე რამდენჯერმე შედიოდა მთავარ შტაბში. იმ საბედისწერო დღეს რვა საათი სრულდებოდა, შტაბში რომ დავბრუნდით. იქ დაგვხვდნენ: მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი. დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა, საინფორმაციო განყოფილებაში რომ შევედი. სწორედ იმ დროს, როდესაც გენერალ ჯიჯიხიას დასრულებული ჰქონდა მთავარსარდალისათვის პატაკის გადმოცემა. აი, ეს პატაკი - მოწინააღმდეგის ტანკები იძულებული გაგზადეთ ჩვენი სანგრები მიეტოვებინათ, დღეს გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელთა სულისკვეთება

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მტკიცეა. გაეცნო რა პატაკს კვინიტაძე, კვლავ თამბაქოს წევით მიუბრუნდა რუკას და ჩაილაპარაკა: სულერთია. რამდენიმე წუთის შემდეგ უეცრად შემოტრიალდა, გაექანა მთავრობის თავმჯდომარისაკენ და განუცხადა: უკან ვიხევ. ეს ორი სიტყვა იქ მყოფთ მეხივით დაატყდათ თავზე. მთავრობის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და შეეკითხა მთავარსარდალს:

- როგორ, რა მოხდა, უკან დახევა აუცილებელია?!
- დიახ!
- გესმით ასეთი ნაბიჯის პასუხისმგებლობა და ღებულობთ ამ პასუხისმგებლობას?
- დიახ. და შეუდგა გადაწყვეტილების დასაბუთებას: კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ მყავს - პირიქით, მთელი რიგი ცარიელი სივრცეებია.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ადვილი შესაძლებელია მტერმა ავჭალა დაიკავოს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრას. უკან დახევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სათანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ დავიკავებ თბილისს, რის შემდეგ საშუალება მომეცემა დამარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა. ათი საათი სრულდებოდა და დაუმატა: თქვენ განკარგულებაშია ბატონო თავმჯდომარე ვი ორი საათი. მე ვიწყებ უკან დახევას ღამის 12 საათზე.

ამ დროს კუთხეში მჯდომი გენერალი ოდიშელიძე ადგა და მიუახლოვდა მაგიდას შემდეგი სიტყვებით - ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი აზრი. მან დაახლოებით შემდეგი სთქვა, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახევა, რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს ჰპოვებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულ ჯარში. მე ვფიქრობ, მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ, თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევ იქ არის, იმ პოზიციებზე, რომლებიც ჯარს უკავია ... როგორ შეიძლება ისეთი დიდი გამარჯვება, რომელიც მთავარსარდალმა მოიპოვა თბილისთან, უკანდახევით სასწორზე დაიდოს, პირიქით, მე მის ადგილზე გადავიდოდი შეტევაზე. ერთგვარი პარტიზანული წესით, რომ მტერს მოსვენება არ მიეცეს მანამ, სანამ დაუძლურებული და საკმაოდ შელახული მტერი სავსებით არ მოტყდება. ამავე დროს მოგვისწრებს მოხალისეთა ის ორი ათასეული, რომლებიც იმერეთიდან დაძრულა. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მტერსაც არ ჰყავს რეზერვი და არც შესაძლებლობა დამხმარე ძალების მოშველიებისა და ბოლოს შეტევა საერთო ხაზით

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მტრის სავსებით განადგურებისათვის. თუ სხვა რამ არ გვიწერია, მე ვფიქრობ, უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო. მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა ოდიშელიძეს: აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება, პირადი გადაწყვეტილებით

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გადადგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი? მთავარსარდალის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერავინ ჩაერევა, მიუგო ოდიშელიძემ. ამ განმარტების შემდეგ ნოე ჟორდანიამ დასტოვა შტაბი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **25.1.** რომელი სახელმწიფოს არმიის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ჯარი დოკუმენტში აღწერილი მოვლენის დროს?

(1) **25.2.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ მთავრობის თავმჯდომარე დიდ ყურადღებას უთმობდა იმ დროს მიმდინარე საომარ მოქმედებებს?

(1) **25.3.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რატომ უწოდებს ნოე ჟორდანიას ადიუტანტი იმ დღეს „საბედისწეროს“?

(1) **25.4.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ იმ დღეს ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე მოწინააღმდეგემ ფრონტზე ხანმოკლე წარმატებას მიაღწია?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **25.5.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ გენერალ კვინიტაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო იქ მყოფთათვის?

(1) **25.6.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რას გულისხმობდა გენერალი კვინიტაძე, როდესაც განაცხადა, რომ „ცარიელი სივრცეები“ არსებობს?

(1) **25.7.** თქვენი აზრით, საბოლოო ჯამში, გაამართლა თუ არა გენერალ კვინიტაძის გადაწყვეტილებამ? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, „ცარიელი სივრცეების“ გარდა, სრულად ჩამოთვალეთ ფრონტზე შექმნილი რა კონკრეტული გარემოებებით ახსნა გენერალმა კვინიტაძემ საკუთარი გადაწყვეტილება.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად აღწერეთ, თუ რას გეგმავდა გენერალი კვინიტაძე მტრის დასამარცხებლად მცხეთის ხეობის დაკავების შემდეგ.

(2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, ვინ შეეკამათა გენერალ კვინიტაძეს და რა არგუმენტით სცადა აეხსნა, თუ რატომ არ გაჩერდებოდა არც ერთი ჯარისკაცი მცხეთაში?

(2) **25.11.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია მიუთითებს, რომ მთავრობის თავმჯდომარე არ ეთანხმებოდა მთავარსარდლის გადაწყვეტილებას და რატომ არ შეცვალა მისი ბრძანება?

(2) **25.12.** დოკუმენტის მიხედვით, რა სიტყვებით შეაფასა თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ თბილისთან გამართული ბრძოლა და თქვენი აზრით, რატომ შეაფასა ასე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)